პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

სიდა
ჩვენ • ვაკავშირებთ

GPAM
ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს

www.migrant.ge | fb.com/migrant.ge | მარტი 2014 წ.

ბიულეტენი#2

საბერძნეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_gr | თურქეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_tr | საქართველოს სკაიპის ცხელი ხაზი migrant_ge

მისალმება

პატივცემულო მკითხველო, მოგესალმებით G-PAM პროექტის გუნდის სახელით. ბიულეტენის წინამდებარე ნომერს ვუთმოთ არალეგალური მიგრაციის თემას და გთავაზობთ: ინტერვიუს საქართველოს მოქალაქესთან, რომელიც წლების განმავლობაში არალეგალურად იმყოფებოდა საბერძნეთის ტერიტორიაზე. ასევე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ საუბრობს IOM ერთ-ერთი პროექტის კოორდინატორი. აქვე, შეგიძლიათ გაეცნოთ პრაქტიკულ რჩევებს მომავალი მიგრანტებისთვის და G-PAM პროექტის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო კვლევის შედეგებს.

IOM • OIM

ინტერვიუ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს წარმომადგენლობის პროექტ „ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამების“ კოორდინატორ, რუსუდან იმნაიშვილთან.

გთხოვთ, ზოგადად ჩამოგვიყალიბოთ 2014 წელს რა აქტივობებია დაგეგმილი საქართველოს მთავრობასთან ერთად არალეგალური მიგრაციის დარეგულირების საკითხებში

ძირითადი აქცენტი კეთდება შსს-ს მიგრაციული სამსახურის პოტენციალის განვითარებაზე. მიგრაციულ სამსახურს ევალება უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლასთან დაკავშირებული ნაწილების განხორციელება. IOM-თვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ კანონის განხორციელება მოხდეს მიგრანტების ადამიანების უფლებების სრული დაცვითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე მთავრობის პოლიტიკის შესაბამისად.

გაგრძელება იხილეთ მე-4 გვერდზე

ანონსი

G-PAM პროექტის ფარგლებში გამოიცა ჯიბის სამახსოვრო - „პრაქტიკული რჩევები მიგრანტებს“, რომელიც მოიცავს მიგრანტებისთვის სასარგებლო ინფორმაციას. მათ შორის, - მიგრანტების რჩევები მომავალ მიგრანტებს. ასევე, იხილავთ დაწვრილებით საკონტაქტო ინფორმაციას თურქეთისა და საბერძნეთის ტერიტორიაზე არსებული დიასპორული ორგანიზაციების, საქართველოს საელჩო/საკონსულოების, მიგრაციაზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების და დასაქმების ორგანოების შესახებ.

პროექტის აქტივობები

საბაზისო კვლევის ანგარიში

დასრულდა პროექტის საბაზისო კვლევაზე მუშაობა. კვლევა 2013 წლის სექტემბერ-ოქტომბერში G-PAM ბენეფიციარ 5 მუნიციპალურ ცენტრში, 50 სოფელსა და არაბენეფიციარ 50 სოფელში ჩატარდა. სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 4096-მა რესპონდენტმა.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

1. მიგრაციის მიმღები ქვეყნების იდენტიფიცირება;
2. მიგრაციის მიზეზების დადგენა;
3. მიგრაციასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება;
4. არალეგალური მიგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის და ქცევის დადგენა;
5. არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეების შესახებ ინფორმირებულობის დონისა და წყაროების დადგენა.

სამუშაო ვიზიტი შიდა ქართლის სოფლებში

G-PAM პროექტის ფარგლებში 2014 წლის 10–11 მარტს პროექტის წარმომადგენლები კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების და რეგიონული პარტნიორი ორგანიზაცია „გორის საინფორმაციო ცენტრი“–ს წარმომადგენლებთან ერთად ეწვია შიდა ქართლის სოფლებში არსებულ საკონსულტაციო ცენტრებს. შედგა შეხვედრა: დოესის, ატენის, ტინისხიდის, მეჯვრისხევის, კარალეთის, ხელთუბნის, ვარიანის, შინდისის, დირბის, ქვენატკოცასა და სურამის კონსულტანტებთან. მოხდა სამუშაო გარემოს ადგილზე გაცნობა და ბენეფიციარებზე ჯგუფური კონსულტაციების გაცემა.

ათენში საქართველოს მოქალაქეებთან შეხვედრა გაიმართა

2014 წლის 26 იანვარს G-PAM პროექტის ფარგლებში მოეწყო ათენის, კიფსელის რაიონში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან შეხვედრა. შეხვედრაზე მიწვეული იყო ათენში მოქმედი იურიდიული ბიუროს იურისტი რევაზ გასვიანი. შეხვედრაზე მიგრანტებს განემარტათ მათსა და დამსაქმებლებთან არსებული ურთიერთობების იურიდიული გაფორმების აუცილებლობა და მიეცათ რეკომენდაციები თუ როგორ მოახერხონ ასეთი ურთიერთობების გაფორმება. აგრეთვე განხილული იქნა საბერძნეთში ლეგალური დოკუმენტაციის მიღების შესაძლებლობა დასაქმების არსებობის პირობებში. მსგავსი შეხვედრა მოეწყო ასევე 9 თებერვალს.

G-PAM პროექტის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო კვლევის ანგარიში გავრცელდა

არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა და თავისებურება გამოავლინა კვლევამ, რომელიც ჩაატარა არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“–მ. ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა მიგრაციული სურათის მიმოხილვა და G-PAM პროექტის საბაზისო მაჩვენებლების დადგენა. კვლევა 2013 წლის სექტემბერ-ოქტომბერს პროექტის ბენეფიციარ 5 მუნიციპალურ ცენტრსა და 50 სოფელში და არაბენეფიციარ 50 სოფელში ჩატარდა.

შედეგებიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტი პრობლემა გამგზავრებასთან, კერძოდ, - სამუშაო ვიზის აღებასთან დაკავშირებით დაფიქსირდა და ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ საბერძნეთში წამსვლელებთან დგას.

გამოკითხულთა 33% აცხადებს, რომ თურქეთში მათი ოჯახის წევრი სამუშაო ვიზით მიდის. საბერძნეთის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 19.6%–ია. კვლევა აჩვენებს, რომ თურქეთში წასვლა უფრო კარგად არის დაგეგმილი წამსვლელების მხრიდან და დეტალებიც მეტადაა გარკვეულია. საბერძნეთში წამსვლელები კი უფრო მეტად არიან დამოკიდებული გარემოებებზე.

დიაგრამა #1: საბერძნეთში და თურქეთში წამსვლელების ვიზირების საკითხი



მიგრანტთა უმრავლესობას, რომელიც მიდის სამუშაოდ სხვა ქვეყანაში, არა აქვს დაგეგმილი თუ რა კონკრეტული სამუშაოს შესრულება მოუწევს იქ. გამოკითხულთა სამი მეოთხედის პასუხების მიხედვით სხვადასხვა ქვეყანაში წამსვლელებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ რა პროფესიით იმუშავებენ.

დიაგრამა #2: რა პროფესიით იმუშავებს საბერძნეთში წამსველელი რესპონდენტის ოჯახის წევრი



საბერძნეთში წასულების ოჯახის წევრთა 21%–ს აქვს სამართლებრივი პრობლემები, თურქეთის შემთხვევაში კი მაჩვენებელი 10%–ია.

გამგზავრების მსურველთაგან უმეტესობას (17,6%), წარმოადგენენ ადამიანები, რომელთაც უკვე ჰყავთ ნათესავები ან ოჯახის წევრები უცხოეთში. ხოლო ვისაც არ ჰყავთ, მათგან მხოლოდ 7,8%-მა გამოთქვა სამუშაოდ უცხოეთში გამგზავრების სურვილი. უცხოეთში სამუშაოდ წასვლისა და უსაფრთხოების გარანტიებს როგორც წესი წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ ახლობელი დასაქმებულია ამ ქვეყანაში და ჰპირდება დასაქმებას (36,5%).

რესპონდენტთა უმეტესობა აცნობიერებს იმ საფრთხეებს, რაც შეიძლება ჰქონდეთ უცხოეთში წასულ სამუშაოს მაძიებლებს. რესპონდენტთა აზრით საქართველოდან, სამუშაოდ წასული ადამიანი დაუცველია სხვადასხვა საფრთხეებისგან, მიუხედავად იმისა ლეგალურად იმყოფება ის საზღვარგარეთ თუ არალეგალურად. ეს სწორედ იმ მიზეზთაგანია, რის გამოც დამოკიდებულება სამუშაო ვიზის აღებასთან, როგორც აუცილებელ პირობასთან – ზედაპირულია.

დიაგრამა#3. სამუშაოს საძიებლად უცხოეთში წამსვლელები/ წასულების პრობლემები რესპონდენტთა შეფასება



თურქეთსა და საბერძნეთში წამსვლელების ძირითადი მიზანი რესპონდენტის აზრით არის შემდეგი:

- საბერძნეთში წასვლის მიზეზი - 84% ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, 5,6% - საცხოვრებლად, 8,9% - სხვა მიზეზით.
- თურქეთში წასვლის მიზეზი: 93% ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, 0,8% - საცხოვრებლად, 4,8% - სხვა მიზეზით.

მიუხედავად ამისა გამოკითხულთა მხოლოდ 16% აცხადებს, რომ უცხოეთში წასული ოჯახის წევრი მატერიალურად ეხმარება საკუთარ ოჯახს.

ყველაზე მეტი პრობლემა, სამუშაო ვიზის აღებასთან დაკავშირებით ყველაზე მწვავედ საბერძნეთში წამსვლელებისთვის დგას.

დიაგრამა #4: რა არსებითი საკითხები აქვს გადასაჭრელი პოტენციურ მიგრანტს წასვლა რომ შეძლოს?



მიგრანტთა უმრავლესობას, რომელიც მიდის სამუშაოდ სხვა ქვეყანაში, არა აქვს დაგეგმილი თუ რა კონკრეტული სამუშაოს შესრულება მოუწევს იქ. ამასთანავე უცხოეთში წასულთა ყველაზე მეტი რაოდენობა, როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, დაბალკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებს.

ინტერვიუ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს წარმომადგენლობის პროექტ „ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამების“ კოორდინატორ, რუსუდან იმნაიშვილთან

გთხოვთ, ზოგადად ჩამოგვიყალიბოთ 2014 წელს რა აქტივობებია დაგეგმილი საქართველოს მთავრობასთან ერთად არალეგალური მიგრაციის დარეგულირების საკითხებში

ძირითადი აქცენტი კეთდება შსს-ს მიგრაციული სამსახურის პოტენციალის განვითარებაზე. მიგრაციულ სამსახურს ევალება უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლასთან დაკავშირებული ნაწილების განხორციელება. IOM-თვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ კანონის განხორციელება მოხდეს მიგრანტების ადამიანების უფლებების სრული დაცვითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე მთავრობის პოლიტიკის შესაბამისად.

რა მნიშვნელოვანი ხარვეზებია არალეგალური მიგრაციის და რეგულირების მხრივ საქართველოში და თქვენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამისთვის სახელმწიფომ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად?

დღესდღეობით საქართველოს ხელისუფლება არ ახორციელებს არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის კომპლექსურ პროგრამებს. რა თქმა უნდა, ეს მდგომარეობა სამომავლოდ უნდა შეიცვალოს, მას შემდეგ რაც ძალაში შევა ახალი საიმიგრაციო კანონმდებლობა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჯერ ძალიან ადრეა ხარვეზებზე საუბარი ახალი კანონმდებლობის განხორციელებასთან დაკავშირებით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იგეგმება კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული პოტენციალის განვითარების აქტივობები, რაც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს დაეხმარება უახლოეს ვადაში, აიმაღლონ პროფესიონალიზმი მათთვის შედარებით ახალ და ნაკლებად ნაცნობ სფეროებში.

3. ხომ არ არსებობს რაიმე სახის სტატისტიკა, სადაც მოცემულია ინფორმაცია არალეგალ მიგრანტთა მოტივაციის თაობაზე და რა არის ის ძირითადი მოტივატორები, რის გამოც საქართველოს მოქალაქეები უკანონოდ კვეთენ სხვა ქვეყნის საზღვრებს?

არალეგალ მიგრანტთა მოტივაციის შესახებ ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. სხვადასხვა მკვლევარის მიერ სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგებით, არალეგალ მიგრანტთა 85-88%-თვის ემიგრირების ძირითადი მოტივია დასაქმება (სამუშაო და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება), 7-8%-თვის - თავშესაფრის მიღება, 3-4%-თვის - მკურნალობა, 1-3%-თვის - საზღვარგარეთ მყოფ ოჯახის წევრებთან თანაცხოვრება.

რა ნაბიჯებს დგამს თქვენი ორგანიზაცია დეპორტაციის მხრივ? ვგულისხმობ თქვენს პროგრამას "ნებაყოფლობითი დაბრუნება და რეინტეგრაციის პროგრამები". რას გულისხმობს კონკრეტულად რეინტეგრაციის პროგრამა და როგორ შეუძლია ემიგრაციაში მყოფ ადამიანს თქვენ მოგმართოთ? თუშეიძლება, აღწერეთ დეტალური ნაბიჯები.

IOM-ის მანდატში არ შედის იძულებითი დაბრუნების პროგრამები. ჩვენი ორგანიზაცია მონაწილეობას არ იღებს დეპორტაციის პროცესებში, თუმცა გვაქვს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ახალი პროგრამა, რომელსაც ვახორციელებთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ერთად და რომელიც გულისხმობს საქართველოს მოქალაქეების სარეინტეგრაციო დახმარებას, მიუხედავად მათი დაბრუნების ფორმისა (იძულებითი თუ ნებაყოფლობითი). გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს კონკრეტული ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამები, რომლებსაც ვახორციელებთ 27 ქვეყნიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეებისათვის. ეს გულისხმობს დახმარებას პროფესიულ მომზადებაში, მცირე ბიზნესის წამოწყებაში, სამედიცინო დახმარებას, დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფას და აგრეთვე აეროპორტში დახვედრას. საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც სურთ სამშობლოში დაბრუნება და არ გააჩნიათ შესაბამისი ფინანსები, შეუძლიათ მიმართონ ჩვენი ორგანიზაციის ოფისს შესაბამის ქვეყანაში დაბრუნებაში დახმარების მიღების მიზნით. სარეინტეგრაციო კომპონენტი ყველა ქვეყნიდან არ მოქმედებს, მაგრამ უკან დაბრუნებაში, სავარაუდოდ, ნებისმიერი ქვეყნის ოფისი გაუწევთ მათ დახმარებას.

როგორ ახორციელებთ მიგრანტების აღრიცხვას? (მაგალითად, პროექტი მიგრანტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ აღრიცხვაზე) როცა ძალიან ბევრი არალეგალია საზღვრებს გარეთ? როგორ ხდება მათი აღრიცხვა ან თუ ხდება საერთოდ?

ამჟამად მიმდინარე პროექტი ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევის შესახებ ჩვენ არ გაქვს და შესაბამისად ვერც აღრიცხვას ვაწარმოებთ. ჩვენ მარტო იმ ადამიანების შესახებ ინფორმაციაზე მიგვიწვდება ხელი, ვინც ჩვენი პროგრამებით ჩამოდის, რაც, რა თქმა უნდა, მთელ სურათს ვერ ასახავს.

რაც შეეხება დასაქმების და კონსულტაციის პროექტს, მაინტერესებს, როგორია მოქალაქეების მომართვიანობის სტატისტიკა, იზრდება თუ არა და ძირითადად, ვინ ინტერესდება ამ პროექტით?

დასაქმების და კონსულტაციის პროექტში მომართვიანობა, ანუ დახმარება დასაქმებაში, ყველა ასაკობრივ ჯგუფში მაღალია, თუმცა მაინც გამოირჩევა ახალგაზრდების ჯგუფი. დაბრუნებული მიგრანტები მომართავენ ცენტრს მაღალი ინტენსივობით, თუკი მათ აქვთ ინფორმაცია, რომ მათ მხარდასაჭერად ხორციელდება სპეციალური პროგრამა.

G-PAM პროექტის ფარგლებში განხორციელებული რამდენიმე იურიდიული კონსულტაცია

პროექტის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“-ს იურისტს სკაიპის საშუალებით დაუკავშირდა თურქეთში მყოფი მოქალაქის ნათესავი, რომელმაც აცნობა, რომ მისი სიძე დაკავებული იყო თურქეთის ტერიტორიაზე არალეგალურად ყოფნის გამო. საქმის დეტალებიდან გაირკვა, რომ ამ პიროვნებას ერთხელ ჰქონდა დეპორტი და ხელმოერედ უკანონოდ გადასული იყო ქვეყნის საზღვარზე. აღნიშნულ საქმეში აქტიურად ჩაერთო არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“-ს პარტნიორი ორგანიზაცია თურქეთში „მე დავბრუნდები“-ს წარმომადგენელი, რომელიც დაუკავშირდა დაკავების იზოლატორის ცხელ ხაზს და თურქეთში არსებულ საქართველოს საკონსულო დეპარტამენტს. როგორც აღმოჩნდა, დაკავებულს არ ჰქონდა თან პასპორტი. დაკავებულის ნათესავს არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“-ს წარმომადგენელმა აცნობა, რომ სასწრაფოდ მიეწოდებინათ დაკავებულისთვის პასპორტი და უკან დასაბრუნებელი თანხა, რათა მომხდარიყო მისი უვნებლად სამშობლოში დაბრუნება, პასპორტის არარსებობის შემთხვევაში კი საქართველოს საელჩო/საკონსულო დეპარტამენტი თავად უზრუნველყოფდა დროებითი სამგზავრო დოკუმენტის დამზადებას. აღნიშნული ბენეფიციარი დღეს უკვე საქართველოშია.

2014 წლის იანვარი-მარტის პერიოდში პროექტის ფარგლებში 10-მდე არალეგალმა ბენეფიციარმა მიმართა პროექტის საბერძნეთის წარმომადგენლობას („მე დავბრუნდები“) სამართლებრივი კონსულტაციისთვის. მათ სურდათ სამშობლოში დაბრუნება და აინტერესებდათ შეექმნებოდათ თუ არა საზღვარზე პრობლემა. „მე დავბრუნდების“ წარმომადგენელმა სამართლებრივ კონსულტაციასთან ერთად ისინი გადაამისამართა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლობასთან, რის შემდეგაც მათ უსასყიდლოდ გადაეცათ თვითმფრინავის ბილეთები, ხოლო მათი კუთვნილი ნივთები გადმოიზიდა საქართველოს ფოსტის მიერ.



პროექტის მიმდინარეობისას არაერთი კითხვა შემოვიდა თურქეთში მუშაობასთან დაკავშირებით. ინტერესის საგანს წარმოადგენდა, როგორ დაბრუნებულიყვნენ ისინი სამშობლოში ისე, რომ დარღვევის გამო არ მიეღოთ „დეპორტი“. აღნიშნულთან დაკავშირებით ყველამ მიიღო იურიდიული კონსულტაცია: თურქეთის ტერიტორიაზე 90 დღის განმავლობაში უვიზოდ შესვლის უფლება არ გულისხმობს იქ სამუშაო უფლებას, ამისათვის საჭიროა სპეციალური ვიზის მიღება. რაც შეეხება საზღვრის გადმოკვეთას, საზღვრისგადმოკვეთისდროს (როდესაცდარღვეულიასავიზორეჟიმი) თუ მიგრანტს დაეკისრება და გადაიხდის ჯარიმას (ჯარიმის დაკისრების საკითხი დამოკიდებულია სავიზო რეჟიმის დარღვევის სიმძიმეზე), შესაძლოა არ მოხდეს დეპორტაცია.

2004-2014 წლებში საბერძნეთში არალეგალურად მცხოვრები მიგრანტი ქალის ისტორია

„საბერძნეთში არალეგალურად 2004 წელს წავედი. გადაწყვეტილება მას მერე მივიღეთ, რაც ჩემი ქმარი სამსახურიდან გამოუშვეს, უფროსმა ბიჭმა უმაღლესში ჩააბარა და სწავლის გადასახადი სასწრაფოდ ჭირდებოდა. როგორც ხდება ხოლმე, ჩემი მეგობრის ნაცნობმა მირჩია, წავსულიყავი და დამეხმარა საბუთების მოგროვებაშიც. ავიღეთ პროცენტიანი ვალი, 4500 ევრო. ეს ფული უნდა გადამეხადა მძღოლისთვის, რომელიც არალეგალურად და ჩუმად გადაგვაკვეთინებდა საზღვარს. სტამბულამდე ჩვეულებრივად ვიმგზავრეთ, მაგრამ შემდეგ დამანახა ერთი დიდი ყუთი, სადაც ქვემოთ უნდა შევმძვრალიყავით 12 კაცი, ზემოთ - 6 და ასე გადავსულიყავით საზღვარზე. სხვა გზა არ მქონდა, შევძვერით. როგორც მოსალოდნელი იყო, სულ ცოტა ხანში, ჰაერი საერთოდ აღარ იყო.

ვეღარ ვსუნთქავდი. ერთი მომენტი გავითიშე კიდეც. გვერდით ვინც მეწვნენ, რამდენჯერმე დააბრახუნეს ყუთის კედელზე, მკვდარიაო. მძღოლმა გამოსძახა, სანამ საზღვარს არ გადავკვეთავთ, არ გაგიღებთ, რას მოდიოდა, გული თუ არ უვარგოდაო.

ეს ყველაფერი მესმოდა, მაგრამ ხმას ვეღარ ვიღებდი. თურმე 12 საათი ვმდგარვართ საზღვარზე. აზრზე მაშინ მოვედი, როცა ვიღაცამ ყინულების ნატეხები შემოყარა ყუთში. უკვე გავცდენივართ საზღვარს და საბერძნეთში გადავსულვართ.

როგორც იქნა, ჩავედი ათენში ჩემს მეგობართან, რომელსაც ბერძენი ქმარი ჰყავს. რამდენიმე დღის შემდეგ გამომიცხადა, აქ იმიტომ არ ჩამოსულხარ, რომ გასვა და გაჭამოო და აუცილებლად უნდა მონახო სამსახურიო. ყველაზე მეტად ენობრივი ბარიერის გადალახვა გამიჭირდა. მოხუცი, რომელსაც ვუვლიდი, რაღაცას მეუბნებოდა ბერძნულად, მე არ მესმოდა და თურმე პირიქით ვაკეთებდი. მას მერე ზუსტად ერთ თვეში ენა გავიტეხე, ცოტ-ცოტა ბერძნულიც მესმოდა. ნელ-ნელა ავეწყვე და ჯერ ერთ ოჯახში გადავედი, იქიდან კი - სასტუმროში.

სასტუმროში დილის შვიდ საათზე მივდიოდი და ცვლას დღის სამ საათზე ვამთავრებდი. სამის მერე კი რესტორანში მივდიოდი და შუაღამის 2 საათამდე ჭურჭელს ვრეცხავდი. ასე რამდენიმე წელი ვიმუშავე. კაპიკს კაპიკზე ვაწებებდი. პროცენტიანი ვალიც გავისტუმრე, შვილს სწავლის ფულიც გადავუხადე.

არ მიცდია ლეგალურად საბუთების გაკეთება. ამის დროც კი არ მქონდა, ლამის 24 საათი ვმუშაობდი კვირაში შვიდი დღე. რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ არალეგალი ვიყავი, კონტრაქტი ჩემთვის არავის გაუფორმებია. არც ერთი ორგანიზაციისთვის არ მიმიმართავს. იმიტომ კი არა, რომ ინფორმაცია არ მქონდა, იმიტომ, რომ დრო ფიზიკურად არ მრჩებოდა. ჩემსავით უამრავი არალეგალი იყო იქ. დღედაღამე მუშაობენ, შესაბამისად ბევრს არ სცალია საკუთარი უფლებები არკვიოს და დაიცვას.

რამდენიმე კვირის წინ ჩამოვედი. აქაურობა, თითქოს, შეცვლილა. არ ვგულისხმობ მხოლოდ გარემოს, რომელიც, რა თქმა უნდა, ისეთი აღარაა, როგორიც დავტოვე. ურთიერთობებზე ვსაუბრობ - შეიძლება, მე მეშლება. ასე დანატრებული თბილ და ადამიანურ ურთიერთობებს, აქ ვერ ვიღებ იმდენს, რამდენიც ამდენი ხნის მანძილზე მაკლდა. შვილები გაიზარდნენ და დაოჯახდნენ ამასობაში, მეგობრებს ყველას თავისი პრობლემები აქვს... იმდენად მიჭირს აქაურობის ისევ მიჩვევა, რომ უკვე ვფიქრობ, ხომ არ წავიდე ახლა თურქეთში, რამდენიმე თვით სამუშაოდ. დეტალებია, მაგრამ ბევრს ისიც კი უკვირს, ამ ხნის ქალი თავს რომ მაინც ვუვლი. საბერძნეთში ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ენობრივი ბარიერი ახლა საქართველოში მაქვს. ვატყობ, რომ ბერძნულად ვაზროვნებ და მერე ვთარგმნი ქართულად. არ ვიცი, რა იქნება. რა სისულელეა, მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, იმ საშინელ და ავადმოსაგონარ 90-იან წლებში, გაჭირვების მიუხედავად, გაცილებით სხვანაირი და თბილი ურთიერთობები გვქონდა. ხალხი თითქოს გაცივდა“.

პრაქტიკული რჩევები მიგრანტებს

თუ გეგმავთ მიგრაციაში წასვლას

თუ თქვენ ხართ საქართველოს მოქალაქე და გსურთ საზღვარგარეთ დროებით და/ან მუდმივად საცხოვრებლად წასვლა, პირველ რიგში თქვენ ამისათვის დაგჭირდებათ საქართველოს მოქალაქის პასპორტი.
თუ თქვენ ხართ საქართველოში მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირი საზღვარგარეთ გადაადგილებისა და უკან შემოსვლის მიზნით უნდა გამოიყენოთ სამგზავრო პასპორტი.

იმ შემთხვევაში, როცა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე დაკარგეთ და/ან წაგართვეს პასპორტი, თქვენ აუცილებლად უნდა მიმართოთ საქართველოს წარმომადგენლობას (საელჩო/საკონსულო დეპარტამენტს იმ ქვეყანაში), რათა მათ უზრუნველყონ თქვენთვის შესაბამისი საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის დამზადება.

თუ თქვენ გსურთ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა, აუცილებელია იცოდეთ:

1. ნურავის ანდობთ თქვენს პასპორტს, მუდამ თან გქონდეთ პასპორტი და გადაადგილებისთვის საჭირო თანხა;

2. ჩასვლისთანავე მიაკითხეთ საქართველოს საელჩო/საკონსულო დეპარტამენტს და დატოვეთ თქვენი პირადი დოკუმენტების ასლები, ასევე იქონიეთ დოკუმენტაციის ასლები სახლში;

3. გადაამოწმეთ იმ ფირმის/სააგენტოს საიმედოობა რომელიც გთავაზობთ სამუშაოდ წასვლას;

4. აუცილებლად დაინტერესდით საზღვარგარეთ თქვენი სამუშაო ხელშეკრულების პირობებით, ანაზღაურებით და სამუშაო საათების ოდენობით. გამგზავრებამდე გააცანით ხელშეკრულება იურისტს და არავითარ შემთხვევაში არ მოაწეროთ ხელი თქვენთვის უცხო ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას;

5. არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდეთ საზღვარგარეთ წასვლას შესაბამისი ნებართვის-ვიზის გარეშე, თან გახსოვდეთ, რომ ყველა სახის ვიზა არ გულისხმობს მუშაობის ნებართავას.

თუ იმყოფებით მიგრაციაში

სასურველია საზღვარგარეთ მუდმივად ცხოვრების შემთხვევაში, ორი წლის განმავლობაში დადგეთ საკონსულო აღრიცხვაზე, რათა საქართველოს სახელმწიფოს ქონდეს ინფორმაცია მის მოქალაქეებზე და შესაბამისად შეძლოს მათი უფლებების დაცვა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზეც კი. ასევე იმის გამო, რომ ამ მიზეზით არ მოხდეს თქვენთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა.

გაითვალისწინე და აიცილე თავიდან ზედმეტი პრობლემები

თუ ვინმე გაიძულებთ თქვენი ნების საწინააღმდეგოდ მუშაობას, ჩამოგართვეს პასპორტი და არ გაძლევენ თავისუფლად გადაადგილების საშუალებას, გაიძულებენ ზეწოლის ქვეშ მიმართოთ პროსტიტუციას და/ან სექსუალურ ურთიერთობებს, ეს ყველაფერი ნიშანია იმისა, რომ თქვენ შეიძლება იყოთ ტრეფიკინგის მსხვერპლი. ამ დროს მიზანშეწონილია, უპირველესად, დახმარებისთვის მიმართოთ თქვენი ქვეყნის წარმომადგენლობას (საელჩო/საკონსულოებს). ასევე მნიშვნელოვანია ითანამშრომლოთ პოლიცია/სასამართლოსთან და გამოიყენოთ რეაბილიტაციის იქ არსებული პროგრამები, რომელიც თითქმის ყველა სახელმწიფოში ხორციელდება.